

შპს "ბარამბო და კომპანია"

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური  
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს  
ფასს) შესაბამისად მომზადებული  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერი

## ს ა რ ზ ე ვ ი

|                                                                  |   |
|------------------------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                         | 3 |
| შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება ..... | 4 |
| ფულადი სახსრების მოძრაობა .....                                  | 5 |
| ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები .....                          | 6 |

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| აქტივები                          |   | კომპანია  |           |            | ჯგუფი     |           |            |
|-----------------------------------|---|-----------|-----------|------------|-----------|-----------|------------|
| შენიშვნა                          |   | 2024      | 2023      | 2022       | 2024      | 2023      | 2022       |
| ფულადი სახსრები                   | 4 | 158 832   | 116 731   | 33 454     | 159 004   | 116 904   | 33 626     |
| სავაჭრო მოთხოვნები                |   | 7 972 730 | 8 430 324 | 11 144 641 | 8 062 679 | 8 520 274 | 11 234 591 |
| გადახდილი ავანსები                |   | 12 743    |           |            | 12 743    | -         | -          |
| მარაგი                            |   | 497 089   | 259 333   | 385 319    | 497 089   | 259 333   | 385 319    |
| - მზა პროდუქცია                   |   | 497 089   | 259 333   | 383 611    | 497 089   | 259 333   | 383 611    |
| - სხვა                            |   |           |           | 1 708      | -         | -         | 1 708      |
| სხვა მიმდინარე აქტივები           |   | 4 876     | 5 535     | 2 914      | 4 876     | 5 535     | 2 914      |
| ძირითადი საშუალებები              |   | 693 824   | 591 309   | 677 724    | 695 262   | 592 747   | 679 162    |
| - სხვა ძირითადი საშუალებები       |   | 682 824   | 583 948   | 669 064    | 684 261   | 585 386   | 670 502    |
| - არამატერიალური აქტივები         |   | 11 000    | 7 361     | 8 660      | 11 000    | 7 361     | 8 660      |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | 5 | 8 000     | 8 000     | 8 000      | 8 000     | 8 000     | 8 000      |
| სულ აქტივები                      |   | 9 348 094 | 9 411 233 | 12 252 052 | 9 439 653 | 9 502 793 | 12 343 613 |

## საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

| ვალდებულებები                          | შენიშვნები | 2024      | 2023      | 2022       | 2024      | 2023      | 2022       |
|----------------------------------------|------------|-----------|-----------|------------|-----------|-----------|------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                  |            | 6 807 338 | 3 270 053 | 10 046 663 | 6 902 374 | 3 365 090 | 10 141 700 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ     |            | 5 166     |           |            | 9 552     | 4 386     | 4 386      |
| საგადასახადო ვალდებულებები             |            | 274 938   | 125 615   | 144 514    | 274 958   | 125 636   | 144 535    |
| სხვა ვალდებულებები                     |            | -         | 500       |            | -         | 500       | -          |
| სულ ვალდებულებები                      |            | 7 087 441 | 6 896 168 | 10 191 177 | 7 186 885 | 3 495 112 | 10 290 621 |
| საკუთარი კაპიტალი                      |            |           |           |            |           |           |            |
| სააქციო კაპიტალი                       |            | 10 000    | 10 000    | 10 000     | 18 160    | 18 160    | 18 160     |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი            |            | 2 250 653 | 2 505 064 | 2 050 875  | 2 234 610 | 2 489 022 | 2 034 832  |
| სულ კაპიტალი                           |            | 2 260 653 | 2 515 064 | 2 060 875  | 2 252 770 | 2 507 182 | 2 052 992  |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები |            | 9 348 094 | 9 411 233 | 12 252 052 | 9 439 655 | 6 002 294 | 12 343 613 |

## შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

|                                                                                   |                 | კომპანია            |                     | ჯგუფი               |                     |
|-----------------------------------------------------------------------------------|-----------------|---------------------|---------------------|---------------------|---------------------|
|                                                                                   |                 | 2024                | 2023                | 2024                | 2023                |
| <b>ნეტო ამონაგები</b>                                                             | <b>შენიშვნა</b> | <b>22 633 705</b>   | <b>25 226 939</b>   | <b>22 633 705</b>   | <b>25 226 939</b>   |
| - მომსახურების გაწევიდან                                                          |                 | 22 633 705          | 25 226 939          | 22 633 705          | 25 226 939          |
| <b>რეალიზებული პროდუქციის<br/>ღირებულება</b>                                      |                 | <b>(19 084 362)</b> | <b>(21 649 112)</b> | <b>(19 084 362)</b> | <b>(21 649 112)</b> |
| <b>საერთო მოგება</b>                                                              |                 | <b>3 549 343</b>    | <b>3 577 827</b>    | <b>3 549 343</b>    | <b>3 577 827</b>    |
| სხვა შემოსავალი                                                                   |                 |                     |                     | 0,00                | 0,00                |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                          |                 | (1 802 057)         | (1 480 594)         | (1 802 057)         | (1 480 594)         |
| ცვეთა/ამორტიზაცია                                                                 |                 | (188 517)           | (154 721)           | (188 517)           | (154 721)           |
| იჯარის ხარჯი                                                                      |                 | (166 322)           | (41 011)            | (166 322)           | (41 011)            |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო<br>ხარჯი                                       |                 | (1 564 122)         | (1 361 414)         | (1 564 122)         | (1 361 414)         |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯი</b>                                                       |                 | <b>(3 763 186)</b>  | <b>(3 037 740)</b>  | <b>(3 763 186)</b>  | <b>(3 037 740)</b>  |
| <b>სულ საოპერაციო მოგება</b>                                                      |                 | <b>(213 843)</b>    | <b>540 087</b>      | <b>(213 843)</b>    | <b>540 087</b>      |
| <b>გაუფასურების (ხარჯი)/რევერსირება</b>                                           |                 |                     |                     |                     |                     |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)<br>სავალუტო ოპერაციებიდან                         |                 |                     | (83)                | -                   | (83)                |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/<br>(ხარჯი)                                  |                 | (34 462)            | (53 087)            | (34 462)            | (53 087)            |
| <b>მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის<br/>ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან</b> |                 | <b>(248 306)</b>    | <b>486 916</b>      | <b>(248 306)</b>    | <b>486 916</b>      |
| მოგების გადასახადი                                                                |                 | (6 105)             | (4 476)             | (6 105)             | (4 476)             |
| <b>მოგება/ზარალი</b>                                                              |                 | <b>(254 411)</b>    | <b>482 440</b>      | <b>(254 411)</b>    | <b>482 440</b>      |
|                                                                                   |                 |                     |                     |                     |                     |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)<br/>განკუთვნილი:</b>                         |                 |                     |                     |                     |                     |
| მშობელი საწარმოს მფლობელთათვის                                                    |                 | <b>(254 411)</b>    | <b>482 440</b>      | <b>(254 411)</b>    | <b>482 440</b>      |
| არამაკონტროლებელი წილის<br>მფლობელთათვის                                          |                 |                     |                     | 0                   | 0                   |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                          |                 |                     |                     |                     |                     |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ</b>                                      |                 |                     |                     | <b>-254410,96</b>   | <b>482440,04</b>    |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)</b>                                        |                 | <b>(254 411)</b>    | <b>482 440</b>      | <b>(254 411)</b>    | <b>482 440</b>      |
| <b>მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:</b>                                               |                 |                     |                     |                     |                     |
| მშობელი საწარმოს მფლობელთათვის                                                    |                 | (254 411)           | 482 440             | (254 411)           | 482 440             |

|                                                           |  |                  |                  |                  |                  |
|-----------------------------------------------------------|--|------------------|------------------|------------------|------------------|
| არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის                     |  |                  |                  |                  |                  |
| საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი) |  | 2 515 065        | 2 060 875        | 2 702 520        | 2 052 992        |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                     |  |                  | (28 250)         |                  | (28 250)         |
|                                                           |  |                  |                  |                  |                  |
| <b>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>     |  | <b>2 260 654</b> | <b>2 515 065</b> | <b>2 448 109</b> | <b>2 507 182</b> |

## ფულადი სახსრების მოძრაობა

### კომპანია

### ჯგუფი

|                                                                       | 2024 წელი<br>31<br>დეკემბერი | 2023 წელი<br>31<br>დეკემბერი | 2024 წელი<br>31<br>დეკემბერი | 2023 წელი<br>31<br>დეკემბერი |
|-----------------------------------------------------------------------|------------------------------|------------------------------|------------------------------|------------------------------|
| ფულადი სახსრების მოძრაობა                                             |                              |                              |                              |                              |
| ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან                    |                              |                              |                              |                              |
| მოგება/ზარალი დაბეგვრამდე                                             | (248 306)                    | 486 916                      | (248 306)                    | 486 916                      |
| კორექტირებები:                                                        |                              |                              |                              |                              |
| ცვეთა და მორტიზაცია                                                   | 188 517                      | 154 721                      | 188 517                      | 154 721                      |
| მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე | (59 789)                     | 641 638                      | (59 789)                     | 641 638                      |
| კლება/ზრდა:                                                           |                              |                              |                              |                              |
| ცვლილებები მარაგში                                                    | (237 756)                    | 125 986                      | (237 756)                    | 125 986                      |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                            | 457 595                      | 2 714 317                    | 457 595                      | 2 714 317                    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                                         | 3 542 450                    | (6 776 610)                  | 3 542 450                    | (6 776 610)                  |
| მიმდინარე აქტივები                                                    | 659                          | (2 621)                      | 659                          | (2 621)                      |
| საგადასახადო ვალდებულება                                              | 149 322                      | (18 899)                     | 149 322                      | (18 899)                     |
| მოგების გადასახადი                                                    | (6 105)                      | (4 476)                      | (6 105)                      | (4 476)                      |
| სხვა ვალდებულებები                                                    | (500)                        | 500                          |                              |                              |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                | <b>3 845 876</b>             | <b>(3 320 165)</b>           | <b>3 846 376</b>             | <b>(3 320 665)</b>           |
| ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან                  |                              |                              |                              |                              |
| ძირითადი საშუალების შეძენა                                            | (291 698)                    | (96 557)                     | (291 698)                    | (96 557)                     |
| ძირითადი საშუალების გაყიდვა                                           |                              |                              |                              |                              |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>              | <b>(291 698)</b>             | <b>(96 557)</b>              | <b>(291 698)</b>             | <b>(96 557)</b>              |
| ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან                     |                              |                              |                              |                              |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>                 | <b>(3 512 078)</b>           | <b>3 500 000</b>             |                              |                              |

|                                                   |         |         |           |             |
|---------------------------------------------------|---------|---------|-----------|-------------|
| წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში | 42 101  | 83 278  | 3 554 678 | (3 417 222) |
| სავალუტო კურსის ეფექტი                            |         |         |           |             |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში       | 116 731 | 33 454  | 116 904   | 33 626      |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს            | 158 832 | 116 731 | 159 004   | 116 904     |

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბარამბო და კომპანია“-ს (შემდგომში „კომპანია“) წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის(მსს ფასს-ის) შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კომპანია დაარეგისტრირა 2012 წლის 21 ივლისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 400052287 .

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, ხანძთელის ქ., N 1 21/06/2012

2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას ფლობდა ერთი მესაკუთრე, ბექანი ოდიშვილი 3/5 06001005429 -100%.

კომპანიის ძირითადი სამეწარმეო საქმიანობა 2042 წელს წარმოადგენდა ვაჭრობა შოკოლადით და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით.

კომპანია 2014 წლის 1 ოქტომბრიდან არის მშობელი კომპანია - შპს „პოპი 2015“-ის(ს/ნ 400127849), რომელშიც ფლობს 51% წილს. 2020 წელს შპს „პოპი 2015“-ს ეკონომიკური საქმიანობა არ განუხორციელებია და წარმოადგენს არაფუნქციონირებად საწარმოს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ შპს „პიპი 2015“ დაარეგისტრირა 2014 წლის 1 ოქტომბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 400127849 .

2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას ფლობდა ორი მესაკუთრე, ნიკოლოზი ხუციბერიძე 3/5 41001007377-49%, შპს „ბარამბო და კომპანია“ ს/კ 400052287 -51%.

კომპანიის ძირითადი სამეწარმეო საქმიანობა შპს „პოპი 2015“-ის საქმიანობას წარმოადგენდა ნაყინის დამზადება და რეალიზაცია, თუმცა 2020 წელს ეკონომიკური საქმიანობა არ განუხორციელებია.

შპს „ბარამბო და კომპანიის“ დირექტორი

ბ. ნესეიშვილი

შპს „ბარამბო და კომპანია“ს და შპს „პოპი 2015“ ის დირექტორი - გიორგი პეტრიაშვილი პ/ნ 01013016767.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ხანძთელის ქ., №1 (ნაკვ. 003/004)

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა

ამ ფინანსური ანგარიშგების შესადგენად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები განხილულია ქვემოთ.

**ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.** კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა(მსს ფასს)“ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

**კონტროლი შვილობილ საწარმოზე.** კონტროლი არსებობს, როდესაც სათავო საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს. ასევე, კონტროლი იმ შემთხვევაშიც არსებობს, როდესაც სათავო საწარმო ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარს ან ნახევარზე ნაკლებს მაგრამ აქვს კონტროლის უფლება. შვილობილ საწარმოს და მშობელ საწარმოს ჰყავთ ერთი მმართველი დირექტორი რომელიც ცხადყოფს კონტროლის არსებობას შვილობილ საწარმოში.

**უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების გადაყვანა.** კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ეკონომიკური გარემოს ძირითადი ვალუტა, სადაც კომპანია საქმიანობს, კერძოდ კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები ასახულია ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ამგვარი ოპერაციებისთვის განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად და უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში გადაყვანით აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გასაცვლელი სავალუტო კურსი იყო:

2022 წლის 31  
დეკემბერი

2021 წლის 31  
დეკემბერი

აშშ დოლარი/ლარი

2.7020

2.0976

ამჟამად, ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

**სავაჭრო მოთხოვნები.** სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

**მარაგები.** მარაგები ასახულია თვითღირებულებასა და გაყიდვების დანახარჯებით შემცირებულ, შეფასებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს შესყიდვის და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგის ადგილამდე ტრანსპორტირებისა და ახლანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად.

ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის ხდება მარაგების შეფასება გაუფასურების გამოსავლენად. იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე და მოგებაში ან ზარალში დაუყოვნებლივ აღიარდება გაუფასურების ზარალი.

**ძირითადი საშუალებები.** ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

კომპანიის ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას მაშინ ამატებს მისი შემცველი ნაწილების თვითღირებულებას, როდესაც მოხდება დანახარჯების გაწევა, თუ მოსალოდნელია, რომ შემცველი ნაწილი კომპანიას მომავალში მოუტანს სარგებელს. შემცველი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. სარემონტო და ტექმომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აისახება მოგება ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც დანახარჯები გაიწევა.

აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება რომ აქტივის თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მერყეობს შემდეგ საზღვრებში:

მანქანა დანადგარები - 5 -10 წელი

შპს „ბარამბო და კომპანიის“ დირექტორი

-----  
ბ. ჯესიაშვილი

ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5 - 10 წელი

სატრანსპორტო საშუალება - 10 - 15 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო სააღრიცხვო თარიღის შემდგომ.

აქტივების საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ასანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

**სავაჭრო ვალდებულება.** სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

**სააქციო კაპიტალი.** ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი.

**ამონაგების აღირება.** ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და დაკმაყოფილებულია კომპანიის შესაფერისი კრიტერიუმი: კომპანია ძირითადი საქმიანობა მოიცავს ქონების იჯარას, რომელიც წამოადგენს შემოსავლის მიღების ძირითად წყაროს.

**მოგებიდან გადასახადი.** მოგებიდან გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კანონმდებლობის იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც ძალაში შესულია ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. 2017 წლის 1 იანვრამდე კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯი/(შემოსავალი) შედგებოდა მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან და აღიარდა წლის მოგება ან ზარალში.

2016 წლის 13 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმად კომპანიებს(ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ ევალებათ მოგებისა გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან, სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდის სახით ან კომპანიას არ ექნება დივიდენდის სახით მისი განაწილების განზრახვა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშგებო პერიოდში დაგროვილი მოგებიდან გაცემული დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება გადაანგარიშებული

შპს „ბარამბო და კომპანიის“ დირექტორი

-----  
ბ. ნესეიშვილი

ღირებულების მიხედვით, რომელსაც აკლდება შესაბამისი საგადასახადო აქტივი, გამოთვლილი, როგორც დასაბეგრი მოგების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ხვედრითი წილი იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების მიმართ, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო აქტივის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოგების გადასახადის ფაქტობრივ ოდენობას, რომლითაც დაიბეგრება განაწილებული დივიდენდები.

დივიდენდების გადახდის შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა დივიდენდები, დივიდენდების გაცემის ფაქტობრივი თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა.

### 3. ინფორმაცია განუსაზღვრელობის შეფასებისა და ხელმძღვანელობის მსჯელობის ძირითადი წყაროების შესახებ

**ფუნქციონირებადი საწარმო.** ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულებების შესრულებას კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ფუნქციონირებადობის უარის შეფასებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის შედეგები, კომპანიის ახლანდელი მიზნები და მომავლის შესახებ თავისი მოლოდინები.

**ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

**ინვესტორის ოპერაციები მეკავშირე საწარმოსთან.** არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშობა ინვესტორსა და მეკავშირე საწარმოს შორის განხორციელებული „ქვემოდან ზემოთ“ (აქტივის გადაცემა მეკავშირე საწარმოდან ინვესტორისთვის) და „ზემოდან ქვემოთ“ (აქტივის გადაცემა ინვესტორიდან მეკავშირე საწარმოსთვის) ოპერაციების შედეგად, ინვესტორის ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირდება მხოლოდ მეკავშირე საწარმოში ინვესტორის კუთვნილი წილის ტოლი სიდიდით. ამგვარი ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული ზარალი შესაძლოა მიუთითებდეს გადაცემული აქტივის გაუფასურებაზე. ვინაიდან კომპანიებს შორის არ არსებობს შიდა ჯგუფური ოპერაციები, არ მომხადა ოპერაციების ელიმინირება კონსოლიდაციის პროცესში.

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებაში, მოგება და ზარალის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შვილობიული საწარმოს ფინანსური

ანგარიშგებაში, მოგება და ზარალის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში არსებული თანხები მშობელი საწარმოს წილის შესაბამისად.

#### 4. ფულადი სახსრები

|                                        | 31.12.24 | 31.12.23 | 31.12.2022 |
|----------------------------------------|----------|----------|------------|
| ფულადი სახსრები                        | 158 832  | 116 731  | 33 454     |
| ფულადი სახსრები შვილობილ საწარმოში 51% | 173      | 173      | 173        |
|                                        | 159 004  | 116 904  | 33 626     |

#### 5. ძირითადი საშუალებები

|                                                   | 31.12.24 | 31.12.23 | 31.12.2022 |
|---------------------------------------------------|----------|----------|------------|
| ნაგებობები                                        | 38 172   |          |            |
| მანქანა-დანადგარები                               | 226 309  | 90 266   | 329        |
| კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები | 29 799   | 14 375   | 15 782     |
| ოფისის აღჭურვილობა                                | 10 371   | 1 909    |            |
| ავეჯი                                             | 8 183    | 560      | 2 634      |
| ინვენტარი                                         | 1 725    | 1 494    |            |
| სარეკლამო საშუალებები                             | 876      |          |            |
| ავტოსატრანსპორტო ტექნიკა გზებზე გამოსაყენებლად    | 361 887  | 475 065  | 650 319    |
| პროგრამული უზრუნველყოფა                           | 5 502    | 7 361    | 8 660      |
| ძირითადი საშუალებები შვილობილ საწარმოში 51%       | 1 438    | 1 438    | 1 438      |
|                                                   | 684 262  | 592 467  | 679 162    |

#### 6. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

|                            | 31.12.24 | 31.12.23 | 31.12.2022 |
|----------------------------|----------|----------|------------|
| ინვესტიცია შპს "პოპი 2015" | 8000     | 8000     | 8000       |

\* შპს "პოპი 2015" -ის 51%- იანი წილის მფლობელი

შ.პ.ს. „ბარამბო და კომპანია“-ს დირექტორი:

/გიორგი პეტრიაშვილი/

შპს „ბარამბო და კომპანიის“ დირექტორი

-----  
